მინი ტურნირებზე

ჩვენი ფეხბურთელები – მე–2 ადგილზე

ესპანეთიდან მოსკოვს დაბრუნდნენ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები, რომლებიც მონაწილეობდნენ კუნძულ ლას–პალმასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

ესპანეთის ქალაქებში წესადაა ზაფხულობით საერთაშორისო მინი–ტურნირების გამართვა 3–4 გუნდის მონაწილეობით. შარშან თბილისელები მონაწილეობდნენ ქ. უელვაში, სადაც პირველი პრიზის მფლობელები გახდნენ წლეულს კი ისინი ლას–პალმასზე მიიწვიეს. ეს ტურნირი მიძღვნილი იყო აქტიური კლუბის – "ლას–პალმასის" არსებობის 25 წლისთავისადმი. მასში მონაწილეობდნენ მასპინძლები, თბილისის "დინამო" და პოლონეთის ერთ–ერთი უძლიერესი გუნდი "გურნიკი"(ზაბჟე).

დინამოელებს პირველი მატჩი 27 აგვისტოს ჰქონდათ "გურნიკთან" შესვენებისთვის ჩვენი გუნდი წინ იყო – 1:0 (ბურთი გაიტანა გ. ნოდიამ). მეორე ტაიმში წერეთელმა და მ. მაჩაიძემ კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, პოლონელებმა კი შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვა "დინამომ"– 3:1.

მეორე დღეს თბილისელები შეხვდნენ "ლას–პალმასს" და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ 1:2 (ბურთი ჩვენი გუნდიდან გაიტანა მ. მაჩაიძემ).

ტურნირის დასკვნით მატჩში ლას–პალმასმა დაამარცხა "გურნიკი" – 4:3 და მოიპოვა მთავარი პრიზი. თბილისელები მე–2 ადგილზე გავიდნენ.

”ლელო’, 1.09.1974 წ.